სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების კონსოლიდირებული ტენდერების
სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი № № CON220000397 - 6

ქ. თბილისი **17 ნოემბერი, 2026 წელი**

სხდომას ესწრებოდნენ:

ხარიტონ შალამბერიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილე;

ქეთევან ქადაგიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს ხელმძღვანელის მოადგილე;

ნინო გამრეკელი - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს საქონლის ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

სალომე მელაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მომსახურების ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი;

ლაშა კირვალიძე - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს საქონლის ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის სატრანსპორტო საშუალებების, საწვავის, ენერგორესურსებისა და სხვა ნედლეულის შესყიდვების სამმართველოს უფროსი;

მარინე გვრიტიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს საქონლის ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის ეკიპირების, ფორმების, აქსესუარებისა და მასთან დაკავშირებული საქონლის შესყიდვის სამმართველოს უფროსი;

ქეთევან კუპრაძე - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს საქონლის ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის საკვები პროდუქტების შესყიდვების სამმართველოს უფროსი;

თეონა დანელია - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მომსახურების ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის, სადაზღვევო და სხვა სოციალურ ღონისძიებებთან დაკავშირებული მომსახურების სამმართველოს უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატი:

ელენე ქავთარაძე - სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მომსახურების ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის საინფორმაციო, სატელეკომუნიკაციო, საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურების შესყიდვების სამმართველოს უფროსი **(სხდომის მდივანი)**;

ლანა დვალი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს მომსახურების ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის ტრანსპორტირების, სატრანსპორტო საშუალებების ნაწილებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვების სამმართველოს უფროსი.

სხდომას არ ესწრებოდა:

სალომე ძოძუაშვილი - სატენდერო კომისიის წევრი, ცენტრალური შემსყიდველი ორგანოს საქონლის ცენტრალიზებული შესყიდვების დეპარტამენტის სამედიცინო აპარატურის, სამედიცინო და ჰიგიენური საქონლის შესყიდვების სამმართველოს უფროსი.

დღის წესრიგი:

„2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის N2016 განკარგულების 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (**CON220000397**) ფარგლებში ფიჭური სატელეფონო მომსახურების ვადის გაგრძელება 2027 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

განხილვა:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან ქადაგიძემ, სატენდერო კომისიის წევრებს მოახსენა შემდეგი:

2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის სატენდერო კომისიის 2022 წლის 19 დეკემბრის № CON220000397-2 სხდომის ოქმის საფუძველზე, ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში (**CON220000397**) გამარჯვებულ პრეტენდენტებად გამოვლინდნენ - **შპს „მაგთიკომი“** (ს/ნ 204876606) და **სს „სილქნეტი“** (ს/ნ 204566978).

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიის წევრებს ასევე მოახსენა, რომ „2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის №2016 განკარგულების მე-4 პუნქტისა და სატენდერო კომისიის 2025 წლის 25 ნოემბრის №CON220000397-5 სხდომის ოქმის საფუძველზე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ფიჭური სატელეფონო მომსახურების ვადა გაგრძელდა 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON220000397**) ფარგლებში, ამავე ტენდერის პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე და გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს **2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

ფიჭური სატელეფონო მომსახურების უწყვეტი და შეუფერხებელი მიწოდების სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე, აგრეთვე საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ „2023-2024 წლების განმავლობაში სხვადასხვა სახის საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 4 ნოემბრის №2016 განკარგულების მე-4 პუნქტის საფუძველზე, ფიჭური სატელეფონო მომსახურება ამჯერადაც გაგრძელდეს 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON220000397**) პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე, მაგრამ **არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა და სატენდერო კომისიის წევრები ერთხმად დაეთანხმნენ გამოთქმულ მოსაზრებებს.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. ფიჭური სატელეფონო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული 2023 წლის კონსოლიდირებული ტენდერის (**CON220000397**) სატენდერო დოკუმენტაციის 10.1.13. ქვეპუნქტის საფუძველზე, აგრეთვე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2025 წლის 12 ნოემბრის №1056-IVმს-XIმპ კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-

4 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ფიჭური სატელეფონო მომსახურება გაგრძელდეს **CON220000397** კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში, ამავე ტენდერის პირობებისა და ტარიფების შესაბამისად, ახალი კონსოლიდირებული ტენდერის გამოცხადებამდე, გამარჯვებულ პრეტენდენტ(ებ)თან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების გაფორმებამდე და შესაბამისი პორტირების პროცედურების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2027 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. საქართველოს მთავრობის 2026 წლის 29 მაისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე სხდომის ოქმი სისტემაში აიტვირთოს ხელმოწერისთანავე.

3. წინამდებარე ოქმის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, გადაწყვეტილების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N64.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:	ხარიტონ შალამბერიძე
სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	ქეთევან ქადაგიძე
სატენდერო კომისიის წევრი:	ნინო გამრეკელი
სატენდერო კომისიის წევრი:	სალომე მელაშვილი
სატენდერო კომისიის წევრი:	ლაშა კირვალიძე
სატენდერო კომისიის წევრი:	მარინე გვრიტიშვილი
სატენდერო კომისიის წევრი:	ქეთევან კუპრაძე
სატენდერო კომისიის წევრი:	თეონა დანელია
სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი (სხდომის მდივანი):	ელენე ქავთარაძე
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:	ლანა დვალი

LEPL Central Purchasing Body

Digitally signed by LEPL Central Purchasing Body
Date: 2026.11.17 18:34:08 +04'00'